



ფინანსური ბაზრების 2025 წლის მ-4 კვარტალის მოლოდინები

აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებში აქტუალურია ვადიანობა

გრძელვადიან სახაზინო ობლიგაციებზე შემოსავლიანობა მაღალ დონეზე რჩება. ამ ეტაპზე, მოკლევადიანი ობლიგაციები უფრო მიმზიდველია.

AI-ს შესანახი ადგილი სჭირდება

ტექნოლოგიური ბაზრის ნაკლებად შესამჩნევი სეგმენტი, მონაცემთა შენახვა, მოულოდნელად 2025 წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტრეიდი გახდა.

ყველა ბუშტი (მათ შორის, „კარგი“) სკდება

AI-ზე ორიენტირებულმა კომპანიებმა აშშ-ის საფონდო ბირჟის ზრდის დაახლოებით 80% დააგენერირეს 2025 წელს, რამაც ბაზარი უფრო მეტად კონცენტრირებული და მოწყვლადი გახადა.


ოქროსთან ერთად ვერცხლმაც გაიბრწყინა

ძვირფასი ლითონები წლის ყველაზე მაღალშემოსავლიანი აქტივების კლასი გახდა. თუმცა მთავარი კითხვაა - კონკრეტულად რომელი ჯობია ახლა?

შეჯამება

- ვერცხლმა ოქროსა და ევროზონის აქციებს გადაუსწრო 3კვ25-ში (+61% 9თვ25-ში).
- ობლიგაციები მიმზიდველ შემოსავლიანობას გვთავაზობს, მაგრამ მნიშვნელოვანია სელექციურობა.
- AI-ის ბუმმა ძლიერი მოთხოვნა წარმოშვა მონაცემთა შენახვის მიმართულებით, რამაც ზოგიერთი კომპანია AI ინვესტიციების მეორე ტალღის მთავარ ბენეფიციარად აღცია.
- 4კვ25-ში ბაზარზე საჭირო იქნება დისციპლინის შენარჩუნება: მნიშვნელოვანია ობლიგაციებში ვადიანობა, AI-ში დივერსიფიკაცია, და გარკვეულწილად თავდაცვითი პოზიციონირება.

შერჩეული აქტივების უკუგება, 9თვ25 და 3კვ25



წყარო: ბლუმბერგი

ვერცხლი: iShares Silver Trust (SLV); ოქრო: SPDR Gold Trust (GLD); ევროზონის აქციები: iShares MSCI Eurozone ETF (EZU); ბიტკოინი: BTC/USD; EM აქციები: iShares MSCI Emerging Markets ETF (EEM); იაპონიის აქციები: iShares MSCI Japan ETF (EWJ); აშშ-ს აქციები: Dow Jones US Total Market Index (DWC); IG ობლიგაციები: iShares Investment Grade Corporate Bond ETF (LQD); HY ობლიგაციები: iShares High Yield Corporate Bond ETF (HYG)



ობლიგაციების ბაზარი


განაკვეთების კლების მიუხედავად, გრძელვადიანი შემოსავლიანობა მაღალ ნიშნულზეა

წამყვან ეკონომიკებში მზარდი სამთავრობო დეფიციტი და სამიზნე მაჩვენებელზე მაღალი ინფლაცია გრძელვადიან ობლიგაციებზე მაღალი შემოსავლიანობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. წლის ბოლომდე მოსალოდნელია, რომ ფედერალური რეზერვი კიდევ 2-ჯერ 25 საბაზისო პუნქტით შეამცირებს განაკვეთს. ეს პირდაპირ უნდა აისახოს მოკლევადიან (მაგ. 2-წლიანი) სახაზინო ობლიგაციებზე, 10-წლიანის შემთხვევაში კი მომდევნო კვარტალების განმავლობაში განაკვეთის 4.0%-ის ირგვლივ შენარჩუნებაა მოსალოდნელი.

ამ ეტაპზე, მოკლევადიანი კრედიტი უფრო მიმზიდველია


ობლიგაციების ინვესტორთათვის, ამ ეტაპზე, უფრო ხელსაყრელია მოკლევადიან და მალახარისხიან საკრედიტო ინსტრუმენტებში ინვესტირება. თუ ინფლაციისა და ვალის ზრდის გამო გრძელვადიან ობლიგაციებზე შემოსავლიანობა გაიზრდება, შემცირდება მათი ფასი. ამასთან, ფედერალური რეზერვის მიერ მოსალოდნელი განაკვეთების კლება მოკლევადიან ობლიგაციებზე შემოსავლიანობას შეამცირებს, ანუ გაზრდის ფასს, რაც ინვესტორებს დამატებით საფასო უკუგებასაც მისცემს. ობლიგაციების ფასები და შემოსავლიანობა ერთმანეთის უკუპროპორციულია. შესაბამისად, მიმდინარე მდგომარეობით მაღალი შემოსავლიანობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდის ყიდვა სამომავლოდ დამატებითი უკუგების მომტანი შეიძლება გახდეს.

აშშ-ს სახაზინოების შემოსავლიანობა, %



წყარო: ბლუმბერგი

Fed-სა და ECB-ს საპროცენტო განაკვეთები



წყარო: Fed, ECB



საფონდო ბაზარი

AI-ს შესანახი ადგილი სჭირდება

ტექნოლოგიური ბაზრის ნაკლებად შესამჩნევი სეგმენტი, მონაცემთა შენახვა, მოულოდნელად 2025 წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტრეიდი გახდა. AI-ს ბუმის წყალობით მოთხოვნა გაიზარდა კომპანიებზე, რომლებიც მესხიერების შემნახველ მოწყობილობებს აწარმოებენ.

ხელოვნური ინტელექტის მოდელების განვითარება და AI-ზე დაფუძნებული სერვისების უზრუნველყოფა დიდი რაოდენობის შემნახველ სისტემებს მოითხოვს. შესაბამისად, დატა ცენტრების ოპერატორები მეტი მსგავსი ინვენტარის შეძენას ცდილობენ. სექტემბერში Western Digital-მა (WDC) "უპრეცედენტო მოთხოვნის" გამო, მყარი დისკების (HDD) ფასები გაზარდა. ანალოგიურად, სხვა მიმწოდებლებმაც შეძლეს ფასების ზრდა.


უკვე დაფიქსირებული ზრდის მიუხედავად, ანალიტიკოსები ამ კომპანიების მიმართ კვლავ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. Morgan Stanley-მ Western Digital ერთ-ერთ „საუკეთესო არჩევანად“ დაასახელა. მათი პროგნოზით, მოთხოვნა ისევ მიწოდებაზე მაღლა შენარჩუნდება.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ამ კომპანიების აქციების ფასის ზრდა კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის ბენეფიციარები სცილდება მხოლოდ AI პროგრამულ უზრუნველყოფას. ინვესტორებს, რომლებსაც AI-ში სურთ ინვესტირება, შეუძლიათ განიხილონ საჭირო ინფრასტრუქტურის მიმწოდებლები, როგორიცაა შენახვის სისტემები, ქსელური აპარატურა და სხვა.


მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს კომპანიებზე, რომლებსაც აქვთ ტექნოლოგიური უპირატესობა (მაგ. უფრო სწრაფი მესხიერების ტექნოლოგია) და სტაბილური ფინანსური მონაცემები, რათა გაუძლონ ინდუსტრიის ციკლურობას. ასევე გონივრულია პოზიციების ზომის სწორი განსაზღვრა, რადგან აქციები შეიძლება იყოს არასტაბილური და ბაზრის განწყობაზე დამოკიდებული.

დატა ცენტრების მოცულობითი საჭიროების პროგნოზი, გვტ



წყარო: McKinsey

შერჩეული აქციების უკუგება, %



წყარო: ბლუმბერგი



საფონდო ბაზარი

ყველა ბუშტი (მათ შორის, „კარგი“) სკდება

AI-ზე ორიენტირებულმა კომპანიებმა აშშ-ის საფონდო ბირჟის ზრდის დაახლოებით 80% დააგენერირეს მიმდინარე წელს, რამაც ბაზარი უფრო მეტად კონცენტრირებული და ინვესტორთა განწყობის ნებისმიერი ცვლილების მიმართ მგრძნობიარე გახადა.

თუმცა, ფასებთან ერთად გაიზარდა სკეპტიციზმიც. ოქტომბერში, BofA-ის გლობალური ფონდების მენეჯერთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი 54% ტექნოლოგიურ აქციებს ზედმეტად ძვირად მიიჩნევს. მეტიც, რესპონდენტთა 60% თვლის, რომ ზოგადად ბირჟა ძვირია - ეს ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე უარყოფითი შეფასებაა.

სემ ალტმანმა აგვისტოში აღნიშნა, რომ ინვესტორთა ენთუზიაზმმა გადააჭარბა "გონივრულ ფარგლებს" და მიაღწია ბუშტის ტერიტორიას. ჯეფ ბეზოსმა AI ინვესტიციების ამჟამინდელი ტალღა დაახასიათა როგორც "კარგი ტიპის ბუშტი", რომელიც, მისი აზრით, საბოლოო ჯამში მოიტანს გრძელვადიან სარგებელს საზოგადოებისთვის - მაშინაც კი, თუ ბაზრები გარკვეული პერიოდი მერყევი იქნება.

საინვესტიციო შესაძლებლობები

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ როგორ უკავშირდება ეს თეზისი წინა გვერდის განცხადებებს, სადაც ტექნოლოგიური ინდუსტრიის ზოგიერთ "საუკეთესო არჩევანს" განვიხილავთ. ეს არ ნიშნავს, რომ კრახი გარდაუვალია ან რომ თავად AI არ არის ტრანსფორმაციული. თუმცა, საგულისხმოა, რომ „ადვილი ფული“, შესაძლოა, უკვე გამომუშავდა. ტექნოლოგიური აქციების არასტაბილურობა გაიზარდა, რადგან ინვესტორები ზრდის შენელების ნებისმიერ ნიშანზე მკვეთრად რეაგირებენ.


გვესმის, რომ ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია პორტფელში AI აქციების ქონა, უბრალოდ შეიძლება დღეს შესაფერისი დრო იყოს მოგების ნაწილის დაფიქსირებისთვის. JPMorgan-ის CEO-მ კომპანიის შემოსავლების შეხვედრაზე აღნიშნა: „გვაქვს უამრავი აქტივი, რომელიც, როგორც ჩანს, შედის ბუშტის ტერიტორიაში. ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ კიდევ 20%-ით ზრდის პოტენციალი. ეს უბრალოდ კიდევ ერთი შეშფოთების მიზეზია.“

S&P 500-ის forward P/E, x



წყარო: ბლუმბერგი

არის თუ არა AI აქციების ბუშტი?



წყარო: BofA Global Fund Manager Survey



ძვირფასი მეტალები

ოქროსთან ერთად ვერცხლმაც გაიბრწყინა

ძვირფასი ლითონები წლის ყველაზე მაღალშემოსავლიანი აქტივების კლასი გახდა. ოქროს ფასმა ოქტომბერში ყველა დროის რეკორდს მიაღწია (\$4,200/უნცია), ხოლო ვერცხლმა გადააჭარბა \$53.5/უნცია ღონეს, რომელიც 1980-იანი წლების შემდეგ არ დაფიქსირებულა. ისინი წლის დასაწყისიდან 57% და 78%-ით არიან გაზრდილი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გლობალურ აქციების ზრდას და ასახავს ინვესტორთა უსაფრთხო აქტივებისკენ მიდრეკილებას.

რამდენიმე ფაქტორმა მიიზიდა ინვესტორები ოქროსა და ვერცხლისკენ. მათ შორის მთავარია გეოპოლიტიკური რისკები (ტარიფებისა და ვალუტის არასტაბილურობის განახლებული რისკების ჩათვლით) და ფედერალური რეზერვის მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება. ამასთან, აშშ-ის ფედერალური მთავრობის შეჩერება (Shutdown), რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა გრძელდება, დამატებით გაურკვევლობას ქმნის.


საინვესტიციო შესაძლებლობები

ოქროსა და ვერცხლის მკვეთრი აღმავალი ტენდენცია მიუთითებს, რომ ინვესტორები აქტიურად ეძებენ თავიანთი პორტფელისთვის დაზღვევას. თუმცა მთავარი კითხვაა - კონკრეტულად რომელი ჯობია ახლა?

ტრადიციული მიდგომის მიხედვით, თუ ოქროსა და ვერცხლის ფასების ფარდობა 50-ზე ქვემოთაა - ოქრო უფრო მიმზიდველია, ხოლო თუ სცდება 80-ს - ვერცხლი. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ეს ფარდობა 80-ზე მაღლა იყო და ვერცხლმა შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა. დღეისათვის, ის მერყეობს სწორედ 80-ის ირგვლივ, რაც არ იძლევა ადვილად არჩევანის გაკეთების საშუალებას, მაგრამ მაინც მიუთითებს ვერცხლის მცირედით მეტად მიმზიდველობაზე.


მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დისბალანსი შეიძლება ნორმალიზდეს ფასების ორივე მიმართულებით მოძრაობით. ანუ თანაფარდობა შეიძლება კორექტირდეს იმითაც, თუ ორივე მეტალის ფასი დაეცემა. შესაბამისად, ხელსაყრელი ფარდობა არ ნიშნავს აბსოლუტური მოგების გარანტიას.

ოქროსა და ვერცხლის ფასთა ფარდობა, x



წყარო: ბლუმბერგი

შერჩეული ETF-ების უკუგება, %



წყარო: ბლუმბერგი

ETF	აღწერა
iShares Silver Trust (SLV)	მიჰყვება ფიზიკური ვერცხლის ფასს.
Global X Silver Miners ETF (SIL)	მიჰყვება ვერცხლის მომპოვებელი კომპანიების პერფორმანსს.
SPDR Gold Trust (GLD)	მიჰყვება ფიზიკური ოქროს ფასს.
VanEck Gold Miners ETF (GDX)	მიჰყვება ოქროს მომპოვებელი კომპანიების პერფორმანსს.



2025-26 წლების მოლოდინები

ბაზრის მოლოდინების მიხედვით, მომავალი 12 თვის განმავლობაში, 2-წლიანი აშშ-ის სახაზინო ობლიგაციის უკუგება 3.36%-ს მიაღწევს (შემცირდება ამჟამინდელი 3.50%-დან), ხოლო 2-წლიანი გერმანული ბუნდის უკუგება მოსალოდნელია გაიზარდოს დაახლოებით 2.16%-მდე.

BlackRock-ის მიხედვით, პროგნოზი ნეიტრალურია ევროპის, განვითარებადი ბაზრების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მიმართ, ხოლო დადებითია აშშ-სა და იაპონიის მიმართ მომავალი 6-12 თვის პერიოდში.

ამასთან, ობლიგაციების კუთხით, BlackRock ზრდის წონას მოკლევადიან საინვესტიციო ღონის (IG) საკრედიტო ინსტრუმენტებში, ხოლო ამცირებს იაპონიის სახელმწიფო ობლიგაციებისა და გრძელვადიანი საინვესტიციო ღონის საკრედიტო ინსტრუმენტებში.

ობლიგაციები

შემოსავლიანობის პროგნოზი (%)

	ახლა	4კვ25	1კვ26	2კვ26	3კვ26
აშშ-ს სახაზინოები					
30-წლ.	4.62	4.72	4.68	4.65	4.63
10-წლ.	4.02	4.15	4.10	4.09	4.08
5-წლ.	3.61	3.66	3.63	3.61	3.64
2-წლ.	3.50	3.51	3.41	3.36	3.36
SOFR	3.89	3.77	3.57	3.36	3.27
გერმანული ბუნდები					
10-წლ.	2.57	2.76	2.85	2.91	2.94
2-წლ.	1.92	2.03	2.07	2.12	2.16
EURIBOR	2.02	1.99	1.99	2.02	2.01

წყარო: ბლუმბერგი

6-12 თვის მოლოდინი

ობლიგაციები	მოლოდინი
Short US treasuries	
Long US treasuries	
Global inflation-linked bonds	
Euro area govt. bonds	
UK Gilts	
Japan govt. bonds	
China govt. bonds	
Short-term IG credit	
Long-term IG credit	
Global HY	
Asia credit	

წყარო: BlackRock Investment Institute

აქციები	ETF	მოლოდინი
აშშ	SPY	
იაპონია	EWJ	
ჩინეთი	MCHI	
UK	EWU	
განვითარებადი ბაზრები	EEM	
ევროპა	IEUR	

დადებითი ნეიტრალური უარყოფითი

წყარო: BlackRock Investment Institute



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტიციის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლებელია, რომ მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105,
საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

ევა ბოჭორიშვილი – კვლევების დეპარტამენტის უფროსი

| evabochorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

სერგი ყურაშვილი, CFA – ფინანსური ბაზრების ასოცირებული მკვლევარი

| s.kurashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 3654

მარიამ ნატროშვილი – ფინანსური ბაზრების ანალიტიკოსი

| ma.natroshevili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 3452